საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N157 2024 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

ქ. ჟენევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისში „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების შესრულების შესახებ საქართველოს გაერთიანებული მე-5 და მე-6 პერიოდული ანგარიშების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის თაობაზე

1. დამტკიცდეს 2024 წლის 8-9 მაისს, ქ. ჟენევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისში „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების შესრულების შესახებ საქართველოს გაერთიანებული მე-5 და მე-6 პერიოდული ანგარიშების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის (შემდგომში – დელეგაცია) თანდართული შემადგენლობა.

2. ეთხოვოთ საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის წარმომადგენლებს დელეგაციაში მონაწილეობის მიღება.

3. დელეგაციის წევრთა მივლინების ხარჯები აანაზღაურონ შესაბამისმა უწყებებმა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2024 წლის 7 მაისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ირაკლი კობახიძე

დამტკიცებულია
საქართველოს პრემიერ-მინისტრის
2024 წლის 1 მაისის
№ 157 ბრძანებით

2024 წლის 8-9 მაისს, ქ. ჟენევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისში „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების შესრულების შესახებ საქართველოს გაერთიანებული მე-5 და მე-6 პერიოდული ანგარიშების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობა

*1. **ნიკო თათულაშვილი** – საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში – დელეგაციის ხელმძღვანელი.

*2. **რატი იონათამიშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

*3. **ბაია კვიციანი** – საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე.

*4. **ალექსანდრე დარახველიძე** – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

5. **უჩა თოდუა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

6. **ნიკოლოზ ჭინკორაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

*7. **რუსუდან კოხოძე** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორი.

*8. **თამარ კურტანიძე** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი.

*9. **ქეთევან სარაჯიშვილი** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსი.

*10. **ეკატერინე მეშველიანი** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

*11. **რუსუდან ასათიანი** – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

12. **შორენა მეზურნიშვილი – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

*13. **გიორგი ნაკაშიძე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სამართლებრივი ანალიზის სამმართველოს უფროსი.

*14. **ნატო თოფჩიშვილი** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის კონფლიქტის დარეგულირების პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

15. **სალომე შაქარიშვილი – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველოს უფროსი.

*16. **ნინო ლომია** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის დედათა, ბავშვთა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი.

*17. **ქეთევან ტატუაშვილი** – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა სამდივნოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

*18. **სალომე ავალიშვილი** – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე.

*** მიემგზავრებიან 7 მაისიდან 10 მაისის ჩათვლით;**

**** მიემგზავრებიან 7 მაისიდან 11 მაისის ჩათვლით.**